საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N01-08/79

ქ. ბათუმი *29 ივნისი, 2018 წ.*

,,ბსუ-ს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 13 ივნისის N01-08/64 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N03 გადაწყვეტილების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთავლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების, „2018 წლის 17 სექტემბრიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის შედეგად 65 წელს მიღწეული პირების არჩევის შესაძლებლობის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2018 წლის 16 ივნისის №55 დადგენილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 ივნისის N57 დადგენილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. „2018 წლის 17 სექტემბრიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის შედეგად 65 წელს მიღწეული პირების არჩევის შესაძლებლობის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2018 წლის 16 ივნისის №55 დადგენილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 ივნისის N57 დადგენილების გათვალისწინებით შეტანილი იქნეს ცვლილება ,,ბსუ-ს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 13 ივნისის N01-08/64 ბრძანებაში, კერძოდ, ბრძანების N1 დანართში, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვაკანტური ადგილების ჩამონათვალში 65 წელს მიღწეული პირის მონაწილეობის დასაშვებობა ნაცვლად ,,საერთაშორისო ურთიერთობებისა" განისაზღვროს ,,ევროპისმცოდნეობის" მიმართულებაზე.
2. დაევალოს იურიდიულ დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების გათვალისწინებით ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 13 ივნისის N01-08/64 ბრძანების კოდიფიცირებული ვერსიის და განახლებული ,,ვაკანტური ადგილების ჩამონათვალის" (N01-08/64 ბრძანების დანართი 1) მომზადება

და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისათვის ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის მიწოდება.

3. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებს და პერსონალს.
4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30).
6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი *მერაბ ხალვაში*